ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 290

ქალაქი ქუთაისი 29 მაისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ავთანდილ ლილუაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 მაისის № 44–4424142578 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, მოქალაქე ავთანდილ ლილუაშვილისათვის (პირადი №60001071523) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩა №23-ის მიმდებარედ განთავსებული უძრავი ქონების ნაწილის (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.21.127; ფართობი: 4.00 კვ.მ.) 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2024 წლის 11 იანვარს გაფორმებული №26 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (06.02.2024 წელი, №000734324) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისათვის განისაზღვრა 56.0 (ორმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. სარგებლობაში გადაცემული ქონების (ფართობი: 4.00 კვ.მ.) წლიური სარგებლობის ქირა მთლიანად განისაზღვრა 224.00 (ორასოცდაოთხი) ლარის ოდენობით. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

საქართველოს ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 131
30 05 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია